№ 1. იანვრის 1, სამშაბათი. 1866—1885 იანვრის 1, სამშაბათი. № 1.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

დღესასწაულების გამო, შემდეგი ნომერი გამოვა იანვრის 4-ს.

დღეს, 1 ლს და ხვალ, 2-ს იანვარს

ადრე მუსიკალურ საზოგადოების დარბაზში, სალდათის ბაზარზე

გამართული იქნება ორი დიდი

კონცერტი

ცნობილის სახალხო მომღერალის

სლავიანსკისა

ამისავე ხორისა და მოყვარეთა მონაწილეობით, 100 კაცისა, რომელნიც ჩაცმულნი იქმნებიან XVI საუკ. რუსულ ბოიარების ტანისამოსში.

ადგილების ფასი: 2 მან. 50 კაპ.; 2 მან.; 1 მან. 50 კაპ.; 1 მან.; და 50 კაპ.

ბილეთები ისყიდება ყოველ დღე მუსიკალურ საზოგადოების დარბაზში. დასაწყისი 8 საათზე. (1—1)

ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა, ორი ტომი, ისყიდება თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე ქუთაისისაში. ფასი თვითო ტომისა მანათ-ნახევარი. თბილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებნი პირნი დაიბარებენ ქადაგებათა ამ სახით: въ Тифлисъ, въ Кавказскую книжную торговлю Грикурова, ან въ Кутаисъ: въ канцелярію Епископа. (16—1)

## წარსული წლის მონაწლევი

თბილისი, იანვრის 1-ს.

მგონებთ, არც ერთ წელიწადს იმდენი შეწუხებული სახე არ უნახავს ჩვენს ქალაქში და ჩვენს ქვეყანაში, როგორც წარსულმა ნახა. ტრანზიტის მოსპობამ, ფაშისა და ბათუმის გაძლიერებამ თბილისს ფთები შეაკვეცა, ის ფთები, რომელნიც ომიანობის დროს ფულის სიუხვის გამო ისე უეცრად შეესხა დაეხლა, როდესაც თბილისის ცხოვრება თავის კალაპოტში აპირობს ჩაჯდომას, საჩივარი მოისმის ყველგან და ყველასაგან; ჩივის ფულის პატრონი, რომელიც თუმანზედ თუმანს ველარ იგებს; ჩივიან ვაჭრები, რომელთ დუქნებსა და მაღაზიებში მუშტარი გროვა-გროვა აღარ შედის; ჩივიან მამულის პატრონები, რომელნიც იძულებულნი არიან თავიანთ მამულის ნაწარმოები ნახევარსა და მეოთხედ ფასად გაჰყიდონ ომიანობის კვალობაზედ,—ერთის სიტყვით ჩივიან ყველანი და მიზეზი ამ საერთო გოდებისა ის არის, რომ ჩვენ შეჩვეულნი არა ვართ არც წესიერ ვაჭრობას, არც წესიერად მამულის მოვლას; ან უნდა ფულებს ცოცხითა ვხვეტდეთ და ჰაერში კოშკებს ვაშენებდეთ, ან გულ-ხელ დაკრეფილები ჩამოვმწკრივდეთ და «ულმობელ ბედზედ» დავიწყოთ საჩივარი.

**

საჩივარი თავისთვის იყოს და არ იქნება ურიგო, რომ მოკლედ მაინც გადავათვალიეროთ, რა სიკეთეც მოიტანა ძველმა წელმა და რას უნდა მოველოდეთ ახლებისაგან. პირველშივე უნდა მართალი ითქვას, რომ წარსული წელი უფრო პროექტებითა და საქმის დასაწყისებით იყო მდიდარი, ვიდრე საქმის შესრულებით. წლის დასაწყისშივე გორის მაზრის თავად-აზნაურობამ საკვირველის თავისა და ჯიბის განწირულობით ერთ-ხმად ალტაცებით მიიღო პროექტი სწავლისათვის საჭირო ხარჯის განაწილებისა, მის კომისიისაგან შემუშავებული. ვიდრე ეს ალტაცება რკინის-გზით გორიდამ თბილისამდე მოაწევდა, საკმაოდ განელდა, მაგრამ ორი თვის შემდეგ მაინც თბილისის მაზრის თავად-აზნაურობამაც გაიწერა ამ ჩინებული საქმისათვის ფული და ახლა ჯერი მიდგა კახეთის თავად-აზნაურობაზედ. ჩვენდა სამწუხაროდ, კახეთში რკინის-გზის გაუყვანლობამ ამ შემთხვევაში ძალიან ცუდად იმოქმედა. როგორც ეტყობა ურკინის-გზოდ არამც თუ ადამიანები და საქონელი, აზრებიც კი ძალიან ნელა მიიზლაზნებიან და ხშირად ერთის დღის სავალს მთელს წელიწადს ანდომებენ. მაგრამ კახეთი თავის დღეში არც ერთ საზოგადო საქმეში სხვა ჩვენის ქვეყნის კუთხეებს უკან არ ჩამორჩენია და იმედია, რომ ბევრის ხნით არც ეხლა ჩამორჩება.

**

წარსულმა წელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია როგორც გლეხებისაგან „ნადელების“ შესყიდვის საქმეს, ისე ხიზნების ყოფა-ცხოვრების მოწყობისას. ბ. თბილისის გუბერნატორი თვითონვე წავიდა ქართლში,

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, იანვრის 2-ს

ქართულის თეატრის დამფუძნებელის

თ-დის გიორგი დავითის-ძის ერისთვის სახსოვრად

1850 წ. იანვრის 2 1885 წ. იანვრის 2.

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილ იქმნება

1-ლი მოქმედება კომედიის «გაყრა».

4-ე მოქმედება — — ‘‘დავა‘‘.

,,შჩინ-მაჩინის ქუდი‘‘ ვოდევილი.

,,აპოთეოზი‘‘.

დასაწყისი 8 საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი.

კვირას, იანვრის 6-ს,

სათავად-აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტი გამართავს თბილისის «კრუჟოკის» დარბაზში

ბალს

სკოლის სასარგებლოდ. ქალები შეიძლება დაესწრონ ბალს გულ-შეკრული კაბებითაც. ბალი დაიწყება საღამოს ცხრა საათიდამ.

ბილეთის ფასი ორ-ორი მანეთია. წინადვე ბილეთების ყიდვა შეიძლება შავერდოვის პავილიონში და კრუჟოკის შვეიცართან.

## «დროების» ფელტონი, იანვრის 1-ს

### 1885 წ.

მოგილოცავთ ახალს წელსა!
ჟამთ უფსკრულში გაჰქრა ძველი.
ოხ, ნეტავი მას თან გაჰყვეს
დარდი გულის დამტანჯველი.

—

ყველა, რაც კი ხელს გვიცრიდა,
გვიშხამავდა ალტაცებას
და—რაც წინ ელობებოდა
ჩვენის ქვეყნის წარმატებას,—

—

შური, მტრობა, ორგულობა
მარად იქმნეს დამარხული;
ჩვენი გული ტახტად იდგეს
და ზედ იჯდეს სიყვარული,

—

რომ თვისს მადლით მან განბანოს
საქმე ჩვენი შემწიკლული,
და ყოველთა ჩაგვინერგოს
ტანჯულ ძმათა სიბრალული.

—

გული თითქოს მეუბნება,
რომ დროს ენახავთ სანატრელსა:
ტანჯვა, გლოვა- მოგვშორდება...
მოგილოცავთ ახალს წელსა!

— გ. ციმაკურიძე.

### საახალწლო

I

ახალი წელიწადი წელიწადში ერთხელ მოდის, მაგრამ, თუ თქვენც დაგვეთანხმებით, წელიწადში ერთხელაც მოსაწყენია გამვლელისა და გამომვლელისათვის ბედნიერებისა და კმაყოფილების ნატვრა, მით უფრო რომ ამ ნატვრისაგანაც, რომელიც ჩვენს, ქართველების, განსაკუთრებულს ხელობას შეადგენს, დიდი სიკეთე არა გამოდისრა. ამიტომ მკითხველების ნება-რთვით, ჩვენ ახალ-წლის წინა ღამეს სხვა საქმეს მივყავით ხელი და იმედი გვაქვს ამისათვის არავინ გაგვკიცხავს: ჩვენ ვიმკითხავეთ ჩვენებურადა, ძველებურადა. ავიღეთ, დავითნის მაგივრად, «ვეფხვის-ტყაოსანი» (მაინც წარსულ წელიწადს ეს ჩვენის ლიტერატურის განძი დიდს მოდაში იყო), ჩავასახელეთ ხან კერძო პირები, ხან სხვა-დასხვა დაწესებულებანი, რამდენჯერმე შემოტრიალების შემდეგ, გადავშალეთ ამ წიგნის რომელიმე გვერდი და წავიკითხეთ ჩასახელებულის პირის ან დაწესებულების სახელზედ რამდენიმე სტრიქონს. აი, თუ თქვენთვისაც ღირს-საცნობი იქნება, რომელს პირსა და რომელს დაწესებულებას რა გამოუვიდა:

ექიმების წოდებას

გული კრულია კაცისა ხარბი და გაუმღომელი.

„ახალ მიმოხილვას“

მოვიდიან თანამშრომლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი,
ტყით ნადირნი, წყალში თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით ფრინველნი,
ინდოთ, არაბთ, საბერძნეთით, მაშრიენი და მაღრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით ეგვიპტელნი.

„ნობათს“

წიგნი წიგნსა ეცემოდა, დედოფალი ოდეს შობდა,

მოციქული მოციქულსა, ინდოეთი სრულად სცნობდა.

«მწყემსს»

ცუდი არის სიყვარული, ქვეით კოცნა, მზის წვერვა.

«ივერიას»

მკურნალნი და დასტაქარნი წამალსა-ვე მომიტანდეს.

„წერა-კითხვის საზოგადოებას“

მალვით ჩაიცმენ აბჯარსა, მიენდო ვით გეთნევიან.
თუმცა ერთს გცემენ ათასნი, ეგრეც ვერ მოგერევიან.

თბილისისა და ქუთაისის ბანკებს

რასაცა გასცემთ თქვენია, რაც არა დაკარგულია.

კორესპონდენტების მძებნელთ

ვძებნეთ და კვალი ვერ ვპოვეთ, დავწამეთ ეშმაურობა.

თ—აზნ—ბის წინამძღოლს

გველსა ხვრელშიგ დააბრუნებს ენა... ტკბილად მოუბარი.

და კახეთში, რომ გლეხ-კაცებისა და მებატონეებისათვის ჩაეგონებინა, თუ რამდენად სასარგებლო იქმნება მათ შორის ამ დამოკიდებულების მოსპობა; აგრეთვე რამდენჯერმე მიიწვია თითქმის მთელი თავად-აზნაურობა, რომელიც კი იმ ქამად ტფილისში იმყოფებოდა, ხიზნების თაობაზედ თავიანთ აზრის წარმოსათქმელად. მაგრამ ეს საქმეც ძველმა წელმა მხოლოდ ანუსხა და ახალს წელს გადასცა შესასრულებლად. არ ვიცით ახალი წელი რას ინებებს, მაგრამ ეს კია, რომ საქმეს დაჩქარება უნდა, თუ არ გვინდა, რომ მუდმივ იმისთანა საჩივრები გვესმოდეს გლეხკაცობის დაწიოკებისა, რომლის უტყუ მოწამედაც ამ ცოტას ხანში ღვაჩების გლეხები იყვნენ. მით უფრო საჭიროა ამ საქმის საჩქაროდ გადაწყვეტა, რომ რაკი უწინდელი დამოკიდებულება შეირყა და ახალი კი ჯერ არსად მოჩანს, როგორც ხიზნები, ისე მამულის პატრონნი გამოურკვეველს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ და ეს არც ერთის მხრისათვის არის სასარგებლო, არც მეორისათვის.

***

თუ წარსული წელი საზოგადო საქმეებს კაი მასპინძელსავით ვერ დაუხვდა, სამაგიეროდ, ჩვენის წიგნების გამომცემელთათვის ეს წელიწადი ფრიად და ფრიად ნაყოფიერი იყო. თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ არც ერთ წელიწადში იმდენი წიგნი არ გამოსულა ქართულს ენაზედ, რამდენიც შარშან გამოვიდა და წიგნები არა რიჟა-ოლღებისა და ზივიშვილებისაგან შედგენილები, არა, იმისთანანი, რომელნიც სწორედ რომ სალიტერატურო განძს შეადგენენ. ეს გარემოება დიდ სიკეთედ უნდა ჩავუთვალოთ წარსულს წელს და მომავალს წელსაც ვუსურვოთ ისეთივე გულუხვობა იმისთანა საქმეში, რომლის ნაყოფიერობა იქნება ისე თვალსაჩინო არ იყოს თანამედროვეთათვის, და ისედაც ვერ დააფასონ, როგორც დააფასებს ამას შთამომავლობა.

***

ამ პატარა წლიურ ქრონიკის დასასრულს ერთს გარემოებას კიდევ უნდა მივაქციოთ ყურადღება: დღეიდამ ჩვენი ოფიციოზური გაზეთი «კავკაზი» ახალი რედაქტორის ხელში გადავიდა, რომელსაც ჯერ არავინ იცნობს და ვერცარავინ რას იტყვის, თუ როგორი იქმნება ეს გაზეთი იმის ხელში. სამი წლის განმავალობაში კი ამ გაზეთს თ. დავით ერისთავი რედაქტორობდა. ჩვენ ჩვენს გაზეთში არა ერთხელ გვითქვამს საყვედური ამ ხნის განმავალობაში თ. დ. ერისთავისათვის, მაგრამ ეს საყვედური იმით იყო გამოწვეული, რომ გვინდოდა საშუალების შესაფერად უფრო მეტი დაკვირვება გამოეჩინა ჩვენის ცხოვრების მიმდინარეობაზე. ვისგანაც უფრო მეტს მოელის კაცი — იმას უფრო მეტსა სთხოვს და მეტსაც საყვედურობს, თუ იმედები სრულად არ შეუსრულა; მაგრამ ეხლა, როდესაც „კავკაზს“ დ. ერისთავის სახელი აღარ აწერია, სამართლიანობა გვათქმევინებს, რომ „კავკაზის“ არსებობის ორმოცის წლის განმავალობაში არც ერთის რედაქტორის ხელში ეს გაზეთი ისე ფხიზლად არა ყოფილა და იმდენი მასალა არ მიუცია მკითხველებისათვის, რამდენი მასალაც მისცა და როგორც ფხიზლად იყო თ. დ. ერისთავის ხელში.

## შინაური ქრონიკა

— «ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას» მოსვლია დასაბეჭდად, როგორც შევიტყეთ, ბ-ნ სოფრონ მგალობლიშვილისაგან გადათარგმნილი წიგნი «შესანიშნავი ბავშვები», რომლის დაბეჭდვაც «საზოგადოებას» უკვე გადაუწყვეტია. დაბეჭდვას დაიწყობენ ამ მოკლე ხანში.

— იმავე საზოგადოებას აურჩევია სხვათა შორის ოთხი პირი ქუთაისში და მიუნდვია მათთვის საწევრო ფულის შეგროვება. საზოგადოებას აქვს განზრახვა ამავე პირთ, რომელნიც მიიღებენ «წევრთ-დამხმარებელთა» სახელწოდებას, მიანდოს სხვა-და-სხვა საყმაწვილო წიგნების თარგმნა და სახელმძღვანელოთა ბეჭდვა.

— ამ ქამად ტფილისში იმყოფება გალობის მცოდნე ბ-ნი ბენაშვილი, რომელსაც ქართული ხმები ნოტებზედ გადაუღია და საშუალებას ეძებს მათ დასაბეჭდად. როგორც ჩვენ გვაცნობებენ ხსენებულს პირს ამ საგნისათვის რაოდენიმე ფული უკვე უშოვნია.

სასურველი იქნებოდა, რომ ბ-ნს ბენაშვილს როგორმე კონცერტი მოეხერხებინა, ამით საშუალებასაც მოიპოვებდა და თავის შრომასაც საზოგადოებას გააცნობდა.

— რედაქციაში მოგვივიდა ახლად დაბეჭდილი «ქადაგებანი» იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა, ტომი მეორე. წიგნი საკმაოდ მოზდილია და ძალიან სუფთად არის დაბეჭდილი. ამ წიგნის პირველი ტომი ამას წინად დაიბეჭდა და ისევე მოზდილი იყო, როგორც ეს მეორე. წიგნი შეიცავს 500 გვერდს და ფასი ძალიან მცირეა — 1 მან. და 50 კაპ.

— დღეს თოვლმა მეტად აატალახა ქალაქი. ცხენის-რკინის გზა გაჭირებითღა დადის, ისიც სამ ცხენ შებმული (ორის მაგიერ). ამ გვარ შემთხვევისთვის, ცხენის რკინის გზის [illegible] არ იზამდენ, რომ ვალად დაიდებდენ და გზის საწმენდად მუშებს დაიჭერდენ, რათა თვლები რელსებზედ იყოს დანდობილი და ასხლეტის გამო უბედურება რამ არ მოხდეს.

— ზემო იმერეთში — გვწერენ ჩვენ — სასოფლო გზები ძლიერ ცუდ მდგომარეობაში არიან. ურემი რომ ურემს შეხვდეს, ვერას გზით ვერ აუქცევს; წვიმის დროს ხომ ნაკადულები ჩადიან გზების ნაპირებზედ და უიმისოდაც ვიწრო გზებს, სულ ავიწროებენ. საჭიროა, რომ ნაკადულებისთვის ცალკე კვალი გაიჭრას, თვითონ გზებს ცოტაოდენი სიფართოვე მოემატოს, მაგრამ ამ აუცილებელ საჭიროებას არავინ ყურადღებას არ აქცევს. უფრო საკვირველია ეს უყურადღებობა, რომ სამაზრო მთავრობა ბევრ-გვარ შემსუბუქებას აძლევს იმ სოფლის საზოგადოებათა, რომელნიც თავიანთ საკუთარ გზების გაკეთებაზე მუშაობენ. ამ გვარ საზოგადოებათ მაზრის უფროსი ბეგარას აღარ შეაწერს ხოლმე და თავიანთ საკუთარ გზების გაკეთებას საზოგადო სამსახურში უთვლის.

— გამოვიდა ჟურნალის „ივერიის» უკანასკნელი წიგნები (ნოემბრისა და დეკემბრისა), რომელნიც შეიცავენ შემდეგს შინაარსს: ა) «კრიჟანგი» (კომედია), თხზ. მოლიერისა (დასასრული); ბ) „წმინდა ნინო» (პოემა პ. ა. ოპოჩინინისა) თარგმ. ივ. კერესელიძისა; გ) ,,უცხოელის აზრი'' ,,ვეფხვის-ტყაოსანზე'' (პოემის გადათარგმნის გამო ფრანცუზულს ენაზე) წერილი ბარონ სუტნერისა; დ) ,,რას შემომცქერი ძმობილო?'' (ლექსი) თ. რაფ. ერისთვისა; ე) ,,ქართული საეკლესიო ხელ-ნაწერები ხელოვნობის

---

თავსმჯდომარეს დრამატიული საზოგადოებისას

(უკანასკნელი სხდომა)

რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა, გმა საჩივარად.

ქართული დასის ანტრეპრენიორს

ვსთქვი, თუ ძმანო იგი კაცნი ჩვენ დასტსა გვიდგებიან,
მკლავთა თქვენთა სიმაგრენი ამისთვისცა რად დალბიან.

დ. ე—ს

ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა.

ძველი „კ—ზის“ დ. ე—ს

ხედავცა, ჩემო, სოფელი, რათა საქმეთა მქნელია...
უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, — რა დიდი მძნელია.

დ. ე. ახალ „კ—ზს“

თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ ისხენები,
მაგრამ მე რა ვქნა, გაზრდილო, ვისგანღა დავიტირები.

მ—ნინს

ვის უქნია შენი მზგავსი სხვათა კაცთა ნათესავსა,
რად სატანას წაჰყოლიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა?

პ. უ—ს

არ იცი ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიან?

ი. გ—შვილს და ვ. გ—ძეს

პირველ ამოდ ილაღობდეს, მერმე მედგრად წაეკიდეს,
თვითო ტოტი ერთმანეთს ჰკრეს და სიკვდილსა არ დარიდნეს.

მარტო ი. გ—ს

ზახილი მესმა, შევხედე, მოყმე ამაყად ჰყიოდა,
მტერთა კაფდა, სწყრებოდა, იგინებოდა, სჩიოდა.

## საახალწლო.

II

დადგა ახალი წელი,
ვეგებებით მღერითა,
ჭკვიანი და სულელი
ავივსნენ იმედითა.

—

ამბობენ — «წერა-კითხვის
საზოგადოებაო
ოცი ათასს მოიგებს
და მით გამხნევდებაო.

—

წერა-კითხვას ისწავლის
მთელი ქართველის ნაცია,
და ველარ მოატყუებს...

—

ამბობენ — «ივერია» *)
წრეულს ფეხზედ დადგება;
კვლავ მოიცემს ძალასა,
ფენიქსებრ განახლდება.

—

ამბობენ — გლეხთ ოჯახნი
ველარ გაიყრებიან;
დღე ერთმანეთს მიბერტყენ
ღამე შერიგდებიან.

—

ამბობენ წელს ვაჭრები
ველარ ნახვენ სავსე დახლს;
რა ვქნათ! ჩვენი ურგები
შოთანს ქვას, ფია ძაღლს.

—

*) ყოველ-თვიური ჟურნალი ,,ივერია'', რომელიც ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით იბეჭდება.

ვინ იცის კიდევ რავდენ რამეებს ამბობენ. სწავლული და უსწავლელი, ქალი თუ კაცი, ჭკვიანი თუ სულელი — ყველა რაღასაც მოელის ახალის წლისაგან, რაღასიც იმედი აქვს. მეც ამ იმედიანების დასში ვურევივარ და იმათსავით იმედით და მხოლოდ იმედით აღსავსე გულით ვეგებები ახალს წელიწადს. მე, ჩვენი პოეტი აკაკისავით, იმედს არ გადავიწყვეტავ და არ ვიმღერებ...

***

შენი იმედი და ჩემი იმედი ხომ ერთი და იგივეა, მკითხველო, შენი სურვილი და ჩემი სურვილი ხომ გაჭრილ ვაშლსავით ერთმანეთსა ჰგვანან? მაშ ნუ დავკარგავთ იმედს იქამდის, სინამ ეს იმედი არ გაგვიხორციელდეს. „იმედიანი შიმშილიც კარგიაო“ ნათქვამია. „წყალ-წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“, მეტყვიან იმედ-დაკარგულნი. დიაღ, ბატონებო, სწორედ ეგრეა ჩვენი ნუგეშინის მცემელი და სასოება იმედია...

და ისე არას დროს არ გვიცხოველდება იმედი, როგორც მაშინ, როდესაც ახალი წელიწადი დგება; ამ დროს

მხრით" დ. ბაქრაძისა; 3) დამატება „მასალა ისტორიისათვის" (დასასრული).

— როგორც გაზ. „კავკაზი" გვატყობინებს, ქალაქის საბჭოს ამ თვის 28 სხდომაზე გამგეობის წევრად ამორჩევია ისევ ბ. იზმაილოვი 19 ხმის უმეტესობით 1 ხმის წინააღმდეგ.

— ვერის ხიდი, რომელიც ქალაქს დაუჯდა 200,000 მან. მეტი, იანვარში გაიხსნება. იქვე ახლოს სავაჭრო ბაზარი გაიმართება იმ მიწაზე, რომელიც ქალაქს ეკუთვნის, ხოლო მეორეზე, რომელიც ყორღანოვმა შესწირა ქალაქს, ურმებს შეეძლებათ დგომა (გაზ. „კავკაზი").

— ხვალ და ზეგ იმავე გაზეთის სიტყვით, ბ. შავროვი წაიკითხავს რუსულს ენაზე სამეურნეო საზოგადოების ზალაში ორს საჯარო ლექციას აბრეშუმის წარმოებაზე. ლექციები დაიწყობა საათის თორმეტზე დღისით და ბილეთები ეღირება: პირველი ადგილები 50 კაპ. ხოლო მეორენი—25 კაპ.

## „დროების" კორესპონდენციები

**ს. ხაშმი**, დეკემბრის 20-ს. მგონია, „დროების" მკითხველებს ეხსომებათ, შარშან ამ დროს, რა უბედურება დატრიალდა სოფ. ხაშმის თავზედ.

მაშინ გულ-გახეთქილი გლეხები იძახოდენ: «ღმერთო, უარესისაგან დაგვიხსენიო». მაგრამ დღეს რომ ხაშმელები გაჭირებაში არიან ჩაცვივნულნი, ეს მდგომარეობა ყოველსავე უარესობას აღემატება. სულ უბრალო გარემოება შეიქნა მიზეზი ამ სოფლის გაჭირვებულის მდგომარეობისა:

„შარშან შეჭმული ფულის მცირე ნაწილი (260 მანეთი) დარჩა წელს «ნედოიმკად»; წლევანდელ სახელმწიფოს ხარჯის განაწილების დროს „ნედოიმკა" არ გაეწერა სოფელს, რადგან დიდად სამძიმოდ სჩვენებოდათ ხაშმელებს წლევანდელ უფულობაში და მოუსავლობაში (წელს ორჯერ დაისეტყვა ჩვენი მხარე) ერთად მოშორება როგორც ხარჯისა, ისე დარჩენილის ფულისა. ამისათვის მცხოვრებლებმა წლევანდელი ხარჯი შეიტანეს ხაზინაში სრულიად ნოემბერშივე და „ნედოიმკისათვის" ერთი თვე ვადა ითხოვეს ბ. მაზრის უფროსისაგან; უფროსმაც ნება დართო სოფლელებს, რომელთაც მოუტანეს ბძანება ამ საგნის თაობაზე ხარჯის მკრეფელს. ზანკარგულების მილების დღეს ხსენებულმა მოხელემ გაიყვანა ნედოიმკისათვის ჩაყენებული კაცები სოფლიდამ და დაუწყო ცდა, ვიდრე სრულად შეაგროვებდენ. ამ გვარ კაცებად იყვნენ სულ რამდენიმე თათარი: თათრებს ეძლეოდათ ორი კვირის განმავლობაში დღეში: ნახევარ ცხვარი, ორი გირვანქა შაქარი, ჩაი, პური, ქერი და სხვა.

დაიწყეს ფულის კრეფა, მაგრამ ხალხის სიღატაკის გამო დღემდინ სრულად ვერ შეიკრიფა, თუმცა იმედი კი იყო ამ მოკლე ხანში შეგროვდებოდა. მოხელე მეტის დაცდით გაბეზრდა და, აი, აქედგან დაიწყო სოფლის გაჭირება. ხმა ამოუღებლივ დასწერა მან ბრძანება და მოითხოვა ათი ცხენიანი თათარი. ხალხმა შეიტყო ბძანების შინაარსი, მოაგონდა შარშანდელი დრო და შექნა გოდება. მოხელესა სთხოვეს, ნუ ინებებდა მათ დალუპვას, რადგან ფული ნახევარზედ მეტი მოკრეფილია და დანარჩენიც ოთხ-დღეში მოიკრიფებაო; ნახევარ საათის შემდეგ, ათი თათარი სამმართველოს წინ დაასეირნებდენ ცხენებს, (ეტყობა მოხელეს ეს წინად მოფიქრებული ჰქონია და განკარგულებაც მიცემული); მოხელემ გაიყოლა მამასახლისი, გაუძღვა წინ თათრებს და მიიყვანა ხაპატიო შეძლებული გლეხის თავლასთან, სადაც შარშან განისვენებდა ამ გვარ ცხენოსანთა რაზმი. თავლის პატრონმა მოახსენა მოხელეს, რომ მე ყველა ხარჯი მოშორებული მაქვს და ჩემთან საქმე არაფერი არა აქვს-რაო. შარშანაც ყინვაში საქონელი თავლიდან გარედ გამორეკეთ და წელსაც ამასვე მიპირობთო. მაგრამ გლეხის ჩივილმა უნაყოფოდ ჩაიარა. თათრები ჰხოცავდენ ქათმებს, ცხვრებს და ქეიფობდენ, როგორც ჰსურდათ. ამას იქით, რა მოხდა, ძნელი მოსათხრობელია. ქვის გული უნდა ჰქონოდა მნახველს, რომ ტირილი არ მოსვლოდა იმ უბედურობით, რომელიც გარშემო დატრიალდა.

ჩვენდა სასიამოვნოდ, ამ გვარმა მდგომარეობამ დიდხანს არ გასტანა. ხალხის გაჭირვებული მდგომარეობა შეიტყო ყარაბულახის მებატონემ, ჩ—შვილმა, ამოვიდა მეორე დღეს და თავისი ფულით შეუსრულა სოფელს, რაც გადასახადი აკლდათ. გლეხებმა ჩააბარეს ფული ერთს ამორჩეულს კაცს და გაგზავნეს, საცა რიგი იყო.

## სამეგრელოს და გურიის თავად-აზნაურთადმი

### საახალწლო წერილი.

მივულოცავ ზემოხსენებულ თავად-აზნაურთ ახალ-წელს და მეკვლევის წესით ვისურვებ მათთვის ღვთისა და ბატონის და წმიდა ვასილის წყალობას, პურსა და ღვინოს, ოქროსა და ვერცხლს, სიმთელე-სიმხიარულეს.

ვისურვებ, რომ მომავალი წელი მათთვის ისე ნაყოფიერი ყოფილიყოს, როგორც წარსული იყო. წარსულ წელში ამ ორს ნიჭიერს თემს გაეხსნა სათავად-აზნაურო სასწავლებელი, რომელშიაც დღეს ოთხმოცზე მეტი მოსწავლე სწავლობს. ღმერთმა ჰქნას, რომ მომავალს წელში ხსენებულ მოსწავლეთა რიცხვი ერთი ორად და სამად ქცეულიყოს; ვისურვებ, რომ ახლანდელსა და მომავალს მოსწავლეთ შესძლებოდესთ მშობლებისა და საზოგადოების იმედის გამართლება. რაღა კითხვა უნდა, რომ თუ სამეგრელოს თავად-აზნაურთა საზოგადოებამ ისეთივე ენერგია შეირჩინა, ისე მომჭირნედ მოეკიდა ამ საქმეს, როგორც სკოლის გახსნის დროს, ცხადია, რომ ამ ქვემო-იმერეთის თავად-აზნაურთათვის ახალი წელიწადი მართლა რომ ახალი და ნაყოფიერი იქმნება. ამის გამო მსურს ორიოდე სიტყვით მივმართო ზემოხსენებულ დარბაისელ საზოგადოებათა.

სწავლა-განათლების საჭიროებაზე ლაპარაკს არა ვსთვლი საჭიროდ, მის გამო, რომ ყველა ჩვენგანი, ნასწავლი და უსწავლელი ყოველს ფეხის გადადგმაზე ვხედავთ სწავლის მოსურნეს, არა თუ სწავლის მოსურნეს—არამედ სწავლისათვის მოტირალსაც: ბევრჯერ გვინახავს გიმნაზიის და თავად-აზნაურთა სასწავლებლების კარებზე ცრემლ-მორეული დედმამა და თვით ბალღებიც. მაშასადამე სწავლის საჭიროებას რომ ყველა ჰგრძნობს, ეგ ცხადია, მაგრამ საშუალება, რომელიც ახლა ჩვენ ხელთა გვაქვს, ზღვაში ცვარად უნდა ჩაითვალოს. ჩვენი საშუალება ერთს მეათედსაც არ აკმაყოფილებს დღეს დღეობით და შემდეგში ხომ სრულიად უკმარისი იქმნება.

სად ვიშოვოთ მაშ ჩვენი შვილების გამოსაზრდელი ფარა, საიდამ იგი შლის ფრთებს და ცოტად თუ ბევრად, მცირე ხანს თუ დიდხანს გვამოქმედებს, გვაბრძოლებს იმისთვის, რისიც იმედი გვაქვს.

ახალ-წელი როცა სდგება
ვემატება სიხარული
და გულს კვალად უბრუნდება
სასოება დაკარგული.

—

რაღაც რამ ხმა იდუმალი
გულს ჩასძახის: გამხნევდიო,
თუ რომ გინდა გაგიმართლდეს
სასოება, იმედიო.

რა გასაკვირველია, რომ ახალს წელიწადს ყველა სიხარულით ეგებება. ახალი წელი ჩვენი სასიძოა, რომელიც ჩვენს იმედზედ და სასოებაზედ იწერს ჯვარს და რა საკადრისი იქნება სასიძოს ეჭვიანის თვალით და ავის გულით დავუხვდეთ. მაშ მივეგებოთ ალტაცებითა და სიმღერით: „აჰა, ესე რა სიძე მოვალს შუაღამესა, და ნეტარ არს მონა იგი, რომელი იპოვოს მღვიძარედ, ხოლო ვაი არს მონისა მის, რომელი იპოვოს უდებებით"... ჩვენ კი მღვიძარედ დავუხვდეთ ჩვენს სასიძოს და თუ... და თუ მან კარგი ქირმანიშლის შალები არ მოგვიტანოს ჩვენ—დედამთილებს და ცხარის ცრემლით აგვატიროს, მაშინ მერმის ამ დროს ისიც ისე გავისტუმროთ თოფებითა და კეტებით, როგორც უსამართლოდ გავისტუმრეთ ძველი სასიძო 1884 წელი.

მაგრამ ეს-კი ვერაფერია, მკითხველო, რომ ახალს წელიწადს, რომელიც ეს ეს არის დაიბადა და ჯერ არც-კი ვიცით, როგორი გამოგვადგება, ალტაცებითა და სიხარულით ვეგებებით და ძველი წელიწადი-კი თითქმის ყველამ დავივიწყეთ. ბევრმა ჩვენგანმა ცუდის ლექსითაც მოიხსენია იგი: „წასვლა იანი, მოსვლა გვიანი", დაიწყევლოს შენი მოსვლის გზაო. ბევრმა გაბოროტებულმა სასიკვდილოდაც არ დაინდო, თოფებისა და დამბაჩების სროლა აუტეხეს, ასე გეგონებოდა ქალაქიდამ ალა-მაჰმად-ხანს აგდებენო. ეხლა ჩვენგან გაგდებული და დავიწყებული ძველი წელიწადი შორიდამ გვიყურებს და გვეუბნება:

მე განახავთ, რომ იმა წელსაც
აწ რომ, მღერით, ეგებებით,
მერმის ამ დროს კარს უჩვენებთ
თოფებითა და კეტებით.

მაგრამ, მკითხველო, რადგანაც ძალიან მალე გცოდნია მეგობრის ამაგის დავიწყება, მე მოვიყვან ზოგიერთა დასამტკიცებელს საბუთებს, რომ წარსულს წელს ჩვენთვის ამაოდ არ გაუვლია და შენი ვალი იქნება იმ საბუთების ღირსების აწონ-დაწონვა:

ა) წერა-კითხვის საზოგადოებამ ორი სკოლა გახსნა: სოფ. ხელთუბანში და წინარეხში!

ბ) ამავ საზოგადოებამ 500 მანათი მოიგო;

გ) გადასწყდა მდიდრულად «ვეფხვის-ტყაოსნის» სურათებით გამოცემა.

დ) იგივე «ვეფხვის-ტყაოსანი გადაითარგმნა ფრანცუზულად და ნემეცურადაც ითარგმნება და ამის შემწეობით შეიძლება ევროპიელთ უფრო დაახლოვებით გაგვიცნონ.

ე) დაიწყო ბეჭდვა ვახუშტის საქართველოს ისტორიისა დიმიტრი ბაქრაძის შენიშვნებით, რომელიც არამც თუ ჩვენს ღარიბს ლიტერატურაში, დაწინაურებულს ლიტერატურაშიაც-კი თვალ-საჩინო ადგილს დაიჭერდა.

ვ) სწავლა-განათლებისათვის თავად-აზნაურობამ თავის ნებით ხარჯი გაიწერა.

ზ) ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ცალკე განყოფილება გაიმართა ძველს სენაკში, რომელშიაც 80 მეტი შეგირდი სწავლობს.

ჱ) დაიბადა საყმაწვილო ჟურნალი „ნობათი"

თ) წერა-კითხვის საზოგადოებას ხუთი-ექვსი სოფლისგან მოუვიდა განაჩენი სკოლების გახსნის შესახებ, მაგრამ ამ საზოგადოებაზედ დამოუკიდებელის მიზეზების გამო ჯერ არ გახსნილან.

ი) საკუთარი თეატრის დასი გვყავდა და ავად-თუ კარგად აწარმოებდა თეატრის საქმეებს.

მართალია უსიამოვნო ამბებიც მოხდა წარსულს წელიწადში, მაგრამ რა გაეწყობა, მზეც უზადოდ არ იქმნების. მაგ. ისა, რომ...

მაგრამ რა დროს უსიამოვნო ამბებზედ ლაპარაკია, ეხლა ახალი წელიწადია და ახალს წელიწადს მხოლოდ სიხარული შეშვენის... „აჰა, ესე რა სიძე მოვალს შუა-ღამესა და ნეტარ არს მონა იგი, რომელი იპოვოს მღვიძარედ, ხოლო ვაი არს მონისა მის, რომელი იპოვოს უდებებით"...

ი. ელაქაძე.

მოვიპოვოთ სწავლა-განათლების შესაძენი საშუალება? სადა და — ისევე ჩვენს შორის, ჩვენსავე ღარიბს ჯიბე — ოჯახიდამ. ბევრი ამბობს: ახლა თავად-აზნაურობა საქართველოს ყოველს კუთხეში და სამეგრელოშიაც ღარიბია და სწავლის ფეხის გასადგმელად ვერაფერს ღონის-ძიებას მოიპოებსო. მაგრამ მე ეგ არა მჯერა და არც დასაჯერებელია და, აი, რატომ: რამდენადაც უფრო ღარიბია კაცი, იმდენად უფრო ცდილობს, რომ გამოიგონოს საშუალება თავის საზრდოდ და საკვებად, იგი ხმარობს ყოველს ღონის-ძიებას და ხერხს, რომ თავი იმდენად არ დაიმციროს, რომ მშიერ-მწყურვალემ და დაგლახაკებულმა სული დალიოს. თუ ოდესმე შეეძლო თავად აზნაურობას სწავლისადმი ზრუნვა, თუ ოდესმე ჯიბისკენ ხელს წაიღებდა ამ საქმისთვის, სწორედ დღეს უფრო იქმს ამას, მისთვის, რომ ამ დროში სწავლა, თუ იგი ჩვენს მოთხოვნილებაზე და ჩვენს გულზე იქმნება გამოჭრილი, უთუოდ ლუკმას გვაჭმევს და შეგვმოსავს; გონებას გაგვიხსნის და გულს გაგვიკეთილშობილებს.

მართალია, წინედ უფრო შეძლებული იყო ჩვენი თავად-აზნაურობა, წინედ უფრო უვალო და უვახშო იყო, მაგრამ სწავლა-განათლებაზე ზრუნვა მისთვის მაინც-და-მაინც არაფერი საპრიანო იყო. წიგნი და წერა ქალის ხელობად მიაჩნდა. მხოლოდ დიდ სასახლეებში იყო შესული განათლების სხივი და იქაც ისე საშვენებლად მიაჩნდათ, როგორც ქალს საყურე და სამკლავე. მაშინ ჩვენი ლუკმის-მჭმეველი მხედრული გულადობა, ხმალი და ჯაზაირი იყო. ახლა ხმალზე ხელ-აღებული გახლავართ, ახლა მათი ადგილი ჩვენში კალამმა, გუთანმა, თოხმა, ბარმა და ცულმა დაიჭირა. ვინც მათი გონივრად ხმარება იცის, ბედნიერიც ის არის.

ადრინდელი აზნაური, რაც უნდა ღარიბი ყოფილიყო, თავსაც-კი დააგირავებდა და თოფ-იარაღს მაინც იქონიებდა, რადგანაც ჰგრძნობდა, რომ უიმათოდ იგი მგლებში გაშვებულს ცხვარს ემგზავსებოდა; ახლა, როცა ამ იარაღის ადგილი სწავლამ დაიჭირა, როცა უ-ამ იარაღოდ მუდამ სხვისგან გაჭყლეტას უნდა მოელოდეს კაცი — ვამბობ, ახლა სწავლა-განათლებისათვის დაითახსირებს თავს იგი? მოიშიებს, მოიწყურებს დროებით სწავლის შესაძენად? დააკლდება ტირილსა და ასაბიას, რომ ხარჯი შეამოკლოს და ამისაგან გადანარჩუნებული ორი კაპეიკი სკოლას მიზლოს? შეამოკლებს საქორწინო სეფას, იმის მიხედვით, რომ სამუდამოდ წაურთმეველი სწავლა-განძისათვის ორიოდე გროში გაიღოს? ამის გადაჭრილი პასუხის თქმა, ძნელია. ვიტყვი მხოლოდ, რომ თუ თავად-აზნაურობას სწავლა-განათლების გემო ესმის და ხორცად და სისხლად აქვს ქცეული, ყოველ ამას იქმს და მკვიდრს საშუალებასაც მოიპოებს სწავლა-განათლების ფეხ-მოსადგმელად. ჩვენს თავად-აზნაურობას, რომელსაც საქართველოში ამდენი მიწა-წყალი აქვს, ერთი კვალი მიწა არ გადუდვია სასწავლებლის სახლის დასადგმელად. აუარებელი ციხე-ქალაქთა მაშენებლების შვილი-შვილებს ერთი ქვა არ ჩაუდვიათ თავიანთ შვილების თავ-შესაფარი სახლისათვის. ერთი ქოხი არ მოეძევება მას, თუნდ ორმოცი ყმაწვილის სკოლაში დასაბინავებლად. სიღარიბეს რომ დავაბრალოთ ეგ, დიდი შეცდომა იქნება. გლეხებმა, რომელთა უღარიბესი არავინ ყოფილა ჩვენში, რომელნიც თავად-აზნაურთა მიწაზე სამეოთხედოდ მუშაობენ, აი, ამ გლეხებმა აიშენეს თავიანთი სასკოლო სახლები. ერთ საზოგადოებას ვერ ნახავთ, რომ ან აშენებული არ ჰქონდეს ხუთ-თვალიანი სკოლის სახლი, ან აშენებას არ აპირებდეს. ამ სკოლებიდამ გლეხები ჯერ ბევრს არას გამოელიან, მაგრამ ძალით თუ ნებით აჰყვნენ მაინც დრო-ჟამის მიმართულებას. ჩვენ-კი გულ-ხელ დაკრეფილნი ცას შევყურებთ, მაგრამ ჩვენი ცა ახლა მანანას აღარა სთოვს.

სხვას რომ თავი დავანებოთ, სკოლის სახლის აშენება მაინც ძლიერ ადვილია ჩვენთვის. ვსთქვათ: ერთმა მებატონემ ორი ქცევა მიწა შესწირა სკოლას, მეორემ ორი ურემი ქვა მოიტანა, მესამემ ერთი ურემი ქვიშა, მეოთხემ კირი, მეხუთემ ასიოდე ფთა ყავარი, მეექვსემ ხუთი მანეთი გამოიღო და ასე, ამ ნაირად, ზემოხსენებულს თავად-აზნაურობას შეუძლია ერთს წელიწადს ოცი და ოცდა ათი ათასად ღირებული სახლი დასდგას სასიქადულოდ და სახელის კეთილ-სახსენებლად. ამით ჩვენს თავსაც ვარგებთ და მმართებლობასაც გავუადვილებთ ჩვენზე ზრუნვას. ამ გვარად შენდება უზარმაზარი მონასტრები და ეკლესიები. რამდენი მაგალითია, რომ ერთ მწირ ბერს აეშენებინოს გელათისა და მარტვილის მზგავსი მონასტრები. განა ჩვენ თითონ არ ვაძლევთ ორ-ორ და სამ-სამ მანეთობით ეკლესიის საშენებელ შეწირულებას თუნდ ცხრა მთიდამ გადმოსულ ბერებს! განა ეკლესიის აშენებაზე ნაკლები იქმნება სკოლის აშენება და ისიც ჩვენს მამულში? ასე, ჩემო ბატონებო, დარბაისელო საზოგადოებავ! თუ წარსულს წლებში არა ვზრუნავდით ამ ფრიად საინტერესო და სასარგებლო საგნისათვის, დღეის იქით, ახალს წელში მაინც ვეცადოთ, რომ სწავლა-განათლებისათვის ზრუნვა დაგვეკვებოს და დაგვებედოს. შევხედოთ ჩვენთა მამა-პაპათა მაგალითებს; თუ მათ შხეფისა და ნაქალაქევის წვერზე ქვა-კირის ზურგით ზიდვა შესძლეს, ჩვენ ტეხურის პირზე, ორი ნაბიჯის გადადგმაზე არ უნდა გაგვიძნელდეს ორიოდე ქვის გამოტანა და ქვიშის კირში არევა.

აი, მომავალს წელში ჩვენ თავის შესაფერი არ გვექმნება, თუ ენერგიულად არ მოვეკიდეთ სახლის ასაშენებელი საშუალების გამოძებნას. ვისაც ამ საქმეში მოთაობა უკისრნია, უთუოდ უნდა გაირკეცოს შრომა ასეთი კეთილი საქმისათვის. ჩვენი სკოლის კურთხევის დროს გარდასწყვიტეს მოსწავლეთა მშობლებმა მაზრის უფროსისა და თავად-აზნაურთა წარმომადგენელის თანადასწრებით, რომ დროზე შესდგომოდენ სახლის ასაშენებელი მასალის და ფულის მოკრეფას. მაზრის უფროსმა და მარშალმა თ. ბახვა ფალავამ შობა-ახალწლის უქმეები არჩიეს შეწირულებათა მოსაკრეფად და სწორედ რომ მოხდენილი დროა ეს დრო. იმედია, არავინ არ დაიშურებს შეძლების და გვარად შემწეობის აღმოჩენას. შეჭველია, სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა შეწირულებას ზუგდიდის და ოზურგეთის შეწირულებაც დაემატება და ერთი წლის განმავლობაში ერთს ღირსეულს სასკოლო სახლში დააბინავებენ იმ ძვირფასს სტუმარს, რომელსაც სწავლა-განათლება ჰქვია და რომელიც თვითონ მიიწვიეს. პეტრე ბატონიშვილისა არ იყოს, სწავლა სტუმარია და თუ კარგი მასპინძელი არ დახვდა, სტუმარი უკანვე გაბრუნდება.

ზემოხსენებულ თავად აზნაურთადმი ჩემი უკანასკნელი სიტყვა ის არის, რომ ჩვენი სწავლის საქმეს ნუ დავამყარებთ მაინც და მაინც ბანკზე, რომელიც წყალში მოსიარულე ნავსა ჰგავს; ვინ იცის მას რა ამინდი დაუდგება, რა ქარი ამოუვარდება?

სამსონ ყიფიანი.

## ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

დეკემბრის 29.

**პეტერბურგი.** თავისუფალმა ეკონომიურმა საზოგადოებამ გადასწყვიტა: დაურიგოს ზოგიერთა გუბერნიებში თითო ნაჭრობით მწარმოებელთ და ხელოსანთ საუკეთესო და შუა რუსეთში გამოსადეგი სამეურნეო იარაღები იმ აზრით, რომ კარგი ნიმუშები ჰქონდეთ და ნაკლებ ფასადაც დაუჯდეთ.

გაზეთების სიტყვით, უწმინდესს სინოდთან არსდება რჩევა საეკლესიო და სამრევლო სკოლების საქმეთათვის.

**ბერლინი.** ზანგთა ტომნი, რომელნიც მოსახლობენ კამერუნის ქვეყანაში აფრიკის დასავლეთის მხარეზე, აჯანყდენ, რადგან მათი ქვეყანა გერმანიის სამფლობელოებს შეუერთდა; მაგრამ აჯანყებულები დამშვიდებულნი იქმნენ გერმანიის ესკადრის ჯარის-კაცებისაგან. ამ დამშვიდების დროს მრავალნი ადგილობრივთ-მცხოვრებელთაგანნი და მათ შორის მეუფროსენი მოკლულნი იქმნენ; სოფლები გადასწვეს; მშვიდობიანობა ახალ-შენებისა კვლავ დამყარდა.

**მადრიდი.** ანდალუზიაში ხელმეორედ იძრა მიწა; გრანადის პროვინციის მცხოვრებნი მრავლად ანებებენ თავს თავიანთ ქვეყანას.

**ბლაგოვეშჩენსკი.** სარწმუნო წყაროთა საშუალებით აიხსნა, რომ ეგუნელი გუბერნატორი მოვიდა აქაურ გუბერნატორთან სტუმრად და საქმეებზე არავითარი მოლაპარაკება არა ყოფილა მათ შორის.

**ბერლინი.** რეიხსტაგის დღევანდელ სხდომაზე კოლონიალურ პოლიტიკით გამოწვეულ ზოგიერთა ხარჯის შესახებ ბჭობის დროს, ბისმარკმა ილაპარაკა იმის წინააღმდეგ, ვითომ საშიშია, რომ ამით გერმანიის ძალა ნაწილ-ნაწილად იყოფაო და სთქვა; გერმანიას მტრები არა ჰყავსო; მართალია პატარა უსიამოვნობა ინგლისთანა გვაქვს, მაგრამ მისი მშვიდობიანად მოსპობა ადვილია ურთიერთის დათანხმებითაო. ფლოტზე რომ დაიწყო ლაპარაკი, ბისმარკმა სთქვა, რომ ძნელი არ არის მისი გაძლიერება იმდენადვე, რამდენადაც სხვათა ფლოტები არიანო, გარდა საფრანგეთისა და ინგლისის ფლოტისაო. ამის შემდეგ ბისმარკისაგან მოთხოვნილი ხარჯის მიღება პალატამ თითქმის ერთხმად გადასწყვიტა.

დეკემბრის 31.

**პეტერბურგი.** გაზეთები ამბობენ, სახალხო განათლების სამინისტრომ გადასწყვიტაო, რომ სასწავლებლებში სწავლა შეწყდეს როდესაც ყინვები 25° აღემატებიანო, როგორც ისმის, ახალს სათამასუქო წესდებას აზრად ექმნება, რომ ვალისათვის სრულიად აღარავის მოესპობოდეს თავისუფლება და თამასუქების მიცემის ნება ჰქონდეს ყოველს წევრს სახელმწიფოსას, რომელსაც კი სხვაფრივ სრული უფლება აქვს; მაშასადამე ეს უფლება მიენიჭება სასულიერო წოდებას და დაბალ სამხედრო ჩინებს.

ტელეგრამები სხვა-და-სხვა მხრიდან გვაუწყებენ, რომ ბევრგან საზარელი ყინვებია: ონეგაში 45, ვოლოგდაში 42, ყაზანში 30°.

*Доз. ценз. Тифлисъ, 31 Декабря 1884 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი